PDF Eraser Free



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების -

„აზომვითი-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“, „საფინანსო სერვისები“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ -

მონიტორინგის შესახებ

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ზაირა ბერიძე

**წევრები:**

მანანა მოისწრაფიშვილი

ნატო ალავიძე

ბარბარე გონაშვილი

იაზონ დანელია

*თბილისი, 2020*



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების  სახელწოდება: სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

## II. მონიტორინგის სახე:

- [ ] გეგმიური
- [ ] არაგეგმიური

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით დანიშნული მონიტორინგი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| აზომვითი - ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება | 20 - პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 10 | - |
| საფინანსო სერვისები | 40 - სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 20 | - |
| კომპიუტერული ქსელი და სისტემები | 30 - სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 15 | - |

***შენიშვნა:*** **აზომვითი - ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება -** *საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამის დამატებისას* (2020 წლის 3 აგვისტო №653562 ოქმი) *მოიპოვა პროფესიული სტუდენტის ზღრული რაოდენობა - 20 პროფესიული სტუდენტი. საგანამანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით (რომელიც განხორციელდა დღის წესრიგის გეგმის შესაბამისად დისტანციურად ZOOM პლატფორმის გამოყენებით) დასტურდება რომ: აზომვითი - ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020 წლის საშემოდგომო მიღებისას პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპვა 10 აპლიკანტმა. დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში იყო 10 პროფესიული სტუდენტი „აზომვითი - ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ საგანმანათლებლო პროგრამაზე.*

***საფინანსო სერვისები -*** *საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამის დამატებისას* (2020 წლის 3 აგვისტო №653562 ოქმი)*მოიპოვა პროფესიული სტუდენტის ზღრული რაოდენობა - 40 პროფესიული სტუდენტი. საგანამანათლებლო დაწესებულების დირექტორთან გასაუბრებით (რომელიც განხორციელდა დღის წესრიგის გეგმის შესაბამისად დისტანციურად ZOOM პლატფორმის გამოყენებით) დასტურდება რომ: „საფინანსო სერვისები“*



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

*საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020 წლის საშემოდგომო მიღებისას პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპვა 20 აპლიკანტმა. დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში იყო 20 პროფესიული სტუდენტი საფინანსო სერვისების საგანმანათლებლო პროგრამაზე.*

***კომპიუტერული ქსელი და სისტემები*** *- საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამის დამატებისას* (2020 წლის 3 აგვისტო №653562 ოქმი)*მოიპოვა პროფესიული სტუდენტის ზღრული რაოდენობა - 30 პროფესიული სტუდენტი. საგანამანათლებლო დაწესებულების დირექტორთან გასაუბრებით (რომელიც განხორციელდა დღის წესრიგის გეგმის შესაბამისად დისტანციურად ZOOM პლატფორმის გამოყენებით) დასტურდება რომ „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020 წლის საშემოდგომო მიღებისას პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპვა 15 აპლიკანტმა. დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში იყო 15 პროფესიული სტუდენტი საფინანსო სერვისების საგანმანათლებლო პროგრამაზე.*

## IV. საერთო მიმოხილვა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით (2020 წლის 3 აგვისტოს №653562 ოქმი) სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგომში ცენტრი) დირექტორის 2020 წლის 18 ნოემბრის N103756 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა გორის სახელმწიფო სასწავლო უნოვერსიტეტის (შემდგომში **უნივერსიტეტი**) საგანმანათლებლო პროგრამების **"აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება", „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და "საფინანსო სერვისები“** ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმება.

მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მეშვეობით, მიიღო დაწესებულების მხრიდან გამოგზავნილი დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის შესწავლის შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა დისტანციური



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free
მონიტორინგის განრიგი და დაწესებულებასთან შესათანხმებლად გაუგზავნა ცენტრს. მონიტორინგის განრიგის თანახმად, მიმდინარე წლის 4 დეკემბერს ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენელთა შორის შედგა დისტანციური კომუნიკაცია, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. მონიტორინგის განრიგის თანახმად, შედგა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა; საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული მატერიალური და ადამიანური რესურსის დოკუმენტაციის შემოწმება და ვიზუალური დათვალიერება ვიდეო ზარის საშუალებით; საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება; ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების წარმომადგენელის დახმარებით, დაათვალიერა კოლეჯის ბიბლიოთეკა და გაესაუბრა ბიბლიოთეკარს.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის მიერ დადგინდა, რომ არსებული აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებით არ იქმნება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.**

**წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ("აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება", „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და "საფინანსო სერვისები“ პროგრამების დამატება) მომზადებული დასკვნების თანახმად, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები "აზომვით - ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება", „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და "საფინანსო სერვისები“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც მეტწილ შესაბამისობაში, რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილად. მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით და ასევე დისტანციურად განხორცილებული ვიზიტის შესაბამისად (ZOOM პლატფორმის გამოყენებით), ზემოაღნიშნული პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა სრულ შესაბამისობაში და შესაბამისად ზემოაღნიშნული პროგრამები არის უკვე „სრული შესაბამისი“.**



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

## VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

---

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტისას პროგრამების „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება“, „საფინანსო სერვისები“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ 2.2 კომპონენტთან მიმართებაში გაცემული რეკომენდაციების შესრულება შეფასდა დადებითად, კერძოდ:

### „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება“ კომპონენტი 2.2.1.

**კრიტერიუმი 1**. რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით: შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში დაწესებულებაში მობილიზებული იქნეს შესყიდვის ხელშეკრულებით წარმოდგენილი მატერიალურ - ტექნიკური რესურსები - შესრულებულია.

### „საფინანსო სერვისები“ კომპონენტი 2.2.1.

**კრიტერიუმი 1.** დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია კომპონენტის სრულ შესაბამისობაში მოყვანის გეგმის წარმოდგენისა და შესრულების თაობაზე, სადაც ასახულია ამ ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის პერიოდი, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები/აღჭურვილობის შეძენა) და პასუხისმგებელი პირები. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადის დანართ 4-ში (ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ) ჩამოთვლილი მატერიალური რესურსებიდან ადგილზე ჰქონდა მხოლოდ ნაწილი აღჭურვილობისა, კერძოდ: 21 კომპიუტერი, 1 დაფა, 1 პროექტორი - დემონსტრირების ციფრული საშუალება, 1 კომბაინი (პრინტერი, ასლგადამღები, სკანერის ფუნქციით) და 1 ყალბი ფულის ამომცნობი ულტრაიისფერი დეტექტორი. უნივერსიტეტის წარმომადგენელის განცხადებით, დაწესებულებას გამოცხადებული აქვს ელექტრონული ტენდერი (ტენდერი



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free
#NAT200009538) გამომთვლელი მანქანების, ლუპების, ფულის სათვლელი მანქანისა და შტამპების შესყიდვის განხორციელების მიზნით, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. რაც შეეხება რესურსების დარჩენილ ნაწილს (საინკასაციო ჩანთის მულაჟი, ფასეულობებისთვის ქისის მულაჟი, თემატური თვალსაჩინოებები), ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში, დაწესებულებაში მათი არსებობა არ დასტურდება. ცენტრში წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში ნათქვამია, რომ ეროვნულ ბანკთან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, ისინი საჩუქრად გადაეცემა უნივერსიტეტს - შესრულებულია.

### „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ კომპონენტი 2.2.1 და კომპონენტი 2.2.3

**კრიტერიუმი 1.** რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით: დაწესებულებამ სრულად შეიძინოს სასწავლო პროცესისთვის საჭირო აღჭურვილობა დანართი N4-ში გაწერილი პარამეტრების შესაბამისად და წარმოადგინოს ფლობის შესაბამისი დოკუმენტაცია-შესრულებულია;

**კრიტერიუმი 3.** რეკომენდაცია გაუმჯობესების მიზნით: სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს CISCO-ს ქსელური აკადემიის სასწავლო რესურსთან წვდომა და სწავლება მიმდინარეობდეს აღნიშნული რესურსის გამოყენებით, რადგან წარმოდგენილი პროგრამა შექმნილი და დაფუძნებულია cisco-ს სასწავლო რესურსსა და კურიკულუმზე - შესრულებულია;

**კრიტერიუმი 5.** რეკომენდაცია გაუმჯობესების მიზნით: სასურველია დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებული პროგრამის განხორციელებისთვის სავალდებლო სასწავლო ელექტრონული რესურსი წარმოდგენილი იყოს პროგრამების მიხედვით, რათა პროფესიულ სტუდენტებს გაუადვილდეს მათთვის საჭირო რესურსთან წვდომა - შესრულებულია;



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

## VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

*ხარვეზი არ დაფიქსირებულა*

## IX. რეკომენდაციების შეჯამება

### განმავითარებელი რეკომენდაცია

### „საფინანსო სერვისები“ კომპონენტი 2.2.1.

***კრიტერიუმი 1.*** *დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტ(ებ)ის განხორციელებისთვის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული პარტნიორ ორგანიზაციებთან, თუმცა დაწესებულების მიერ* ***წარმოდგენილ ხელშეკრულებებში არ იყო მოხსენიებული მოდული „გაცნობითი პრაქტიკა“, დაწესეულებას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნულ მოდულთან მიმართებითაც მოხდეს ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება პრაქტიკის ობიექტ(ებ)თან, მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა“ უზრუნველსაყოფად.***

***ასევე დაწესებულებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისათვის „საფინანსო საქმე“ ხელშეკრულება აქვს გაფორმებული „სს ფინკა ბანკ საქართველოსთან“ მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“ განხორციელების მიზნით, მემორანდუმის მოქმედების ვადა არის ერთი წელი (მემორანდუმი გაფორმებულია 2020 წლის 23 ივნის ერთი წლის ვადით) დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროგრამის მდგრადობის მიზნით გახანგრძლივდეს ხელშეკრულეის მოქმედების ვადა.***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free


| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს  შესრულება |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0731 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | აკადემიური საბჭოს დადგენილება N 6-19; 21/05/2020 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | მის: ქ. გორი აღმაშენებლის N124 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 20 (მის:ქ.გორი, აღმაშენებლის N124), მოდულური |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | — |



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | — |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | — |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 კრედიტი |

პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | **სრული 3** | | | |



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free


**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **დაწესებულების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით**, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; (ჯგუფში 10 პროფ. სტუდენტი. სულ 20 სტუდენტი - ორ ცვლაში). პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი ასახულია პროგრამის შესაბამისი დანართით, რომლის არსებობაც შესყიდვის დოკუმენტებით და დათვალიერებით დასტურდება. სასწავლო A და B გარემოში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულებით გათვალისწინებული აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა, კერძოდ: A - B გარემოში განთავსებულია 10 პროფესიული სტუდენტის(ერთ ჯგუფში) სამუშაო ადგილი. გარემო განკუთვნილია როგორც თეორიული და ჯგუფური მუშაობისათვის, ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, ინდივიდუალური კომპიუტერებით (10 ერთეული (10+1), პრინტერითა და პროექტორით. მატერიალურ - ტექნიკური რესურსების მობილიზებულია დაწესებულებაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება რომ შესყიდულია აღჭურვილობის ის ნაწილი რომლის შესყიდვაც წინა წარმოების ფარგლებში არ იყოს დასრულებული, კერძოდ, შესყიდულია ციფრული და ოპტიკური ნიველირები, ელექტრონული თეოდოლიტი ლაზერით, როტაციული ლაზერი, სამიზნე წითელი ლაზერული სხივისთვის, ნიველირის ლარტყა, ლაზერული მანძილმზომი, გეოლოგიური კომპასი, ჩაქუჩი, წერაქვი, ნიჩაბი, ხერხი, ნაჯახი, ომბოხები, ჩაფხუტები. დაწესებულებას სასწავლო მიზნებისთვის ასევე გააჩნია გეოლოგიური რუქების, აეროფოტოსურათების კომპლექტები, სახაზავი საშუალებები და ტოპოგრაფიული პირობითი ნიშნების წიგნი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის განხორციელებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები [redacted] პროფესიული სტუდენტისთვის პრაქტიკის გასატარებლად, გორის მუნიციპალიტეტის



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

სტრატეგიული განვითარების სააგენტოსთან 10 პროფესიული სტუდენტისთვის და შპს ,,გეოსთან“ 5 პროფესიული სტუდენტისთვის. პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად დაწესებულება და პრაქტიკის ობიექტ(ებ)ი თანხმდებიან რომ უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული სტუდენტების პრაქტიკა, მოდულის შესაბამისი თემატიკის გათვალისწინებით საჭირო აღჭურვილობის ფარგლებში. პრაქტიკის ობიექტს, ერთი კვირით ადრე მიეწოდება ინფორმაცია პრაქტიკის ობიექტს, მოდულის დაწყების შესახებ, სტუდენტების სახელობით სიასთან ერთად, თავის მხრივ პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს სასწავლო პრაქტიკის ორგანიზებას. აღსანიშნავია რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგომში ცენტრი) დირექტორის 2020 წლის 18 ნოემბრის N103756 ბრძანების საფუძველზე, განხორცილებული მონიტორინგის პერიოდში, ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დადგენილი იქნა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნება 20 პროფესიული სტუდენტისთვის (ორცვლაში განხორცილეების შემთხვევაში), როგორც მატერიალური რესურსით, ასევე პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, თუმცა მიმდინარე სასწავლო წლისათვის დაწესებულებას ჰყავს 10 პროფესიული სტუდენტი მოცემულ პროგრამაზე, ერთი ჯგუფი.

2. ***<u>საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას</u>***. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ ზოგადი, საერთო პროფესიული და პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული 16 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი კვოტის 20 პროფესიულ სტუდენტისთვის დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი რაოდენობის პროფესიული განათლების მასწავლებელი, ამასთან მათი მოდულების განხორციელების კომპეტენციისა და დარგებში გამოცდილების მიხედვით ექსპერტთა შეფასებით პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა 20 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

მდგრადობას; მიმდინარე სასწავლო წლისათვის დაწესებულებას ჰყავს ერთი ჯგუფი 10 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული. მონიტორინგის განხორციელების დროს სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა დიტანციურ რეჟიმში.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ **პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია,** დისტანციურ ვიზიტამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, კვირეული საათობრივი დატვირთვა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე მათგანთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას დადასტურდა, რომ გააჩნდათ შესაბამისი მოდულების განხორციელების კომპეტენცია, გააზრებული ჰქონდათ მოდულის განხორციელების მიდგომები, იცნობდნენ სწავლების მეთოდებს და შეფასების წესებს. ექსპერტთა მიერ გასაუბრება მათთან ჩატარდა დისტანციურად (ZOOM პლატფორმის საშუალებით).
4. ***<u>პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად კოლეჯს დანიშნული ჰყავს პროფესიული განათლების მასწავლებელი,</u>*** რომლიც არის დარგის სპეციალისტები და აქვს დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, მას აქვს შესაძლებლობა სრულფასოვნად უხელმძღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს. პროგრამის ხელმძღვანელთან დაწესებულებას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება, სადაც დეტალურადაა გაწერილი დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები, ასევე ანაზღაურების წესი და პირობები. ასევე პროგრამის ხელმღვანელთან გასაუბრებით გამოიკვეთა მზაობა უხელმძღვანელოს პროგრამას და მიიღოს მონაწილეობა მის განვითარებაში.
5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული** სახით დაწესებულების ვებ-გვერდზე (http://gu.edu.ge/ge/library), ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონული და მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში, სადაც ხორციელდება პროფესიული პროგრამები, მოწყობილია სამკითხველო დარბაზები და წიგნსაცავები. სამკითხველო



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

დარბაზებში განთავსებულია კომპიუტერები და უზრუნველყოფილია ინტერნეტის მიწოდება. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. წიგნები გატარებულია საინვენტარო წიგნში დადგენილი წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკის დათვალიერება მოხდა ZOOM-ის პლატფორმის საშუალებით, დაწესებულების წარმომადგენლების ჩართულობით. დისტანციურად ვიზიტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ელექტრონულ პორტალზე დაშვება გაეკეთებინათ ექსპერტებისათვის და შემოწმდა ელ.რესურსები, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვისაც.

6. **დაწესებულებას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო,** კერძოდ პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილები, დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა. საჭიროებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, **მტკიცდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა,** რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება“ **ფინანსურად მდგრადია,** რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები.



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება-პროგრამით;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან  გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ვებ-გვერდით;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრების შედეგებით;
- დაწესებულების მიერ გამოგზავნილი შესყიდვის დოკუმენტები;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- ვიზუალური დათვალიერება (დისტანციურად - ZOOM-ის პლატფორმის საშუალებით)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free


| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საფინანსო სერვისები |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0412 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | აკადემიური საბჭოს დადგენილება No 6-39; 10/06/2020 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ქ. გორი, აღმაშენებლის N124 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 40 (მის: ქ. გორი, აღმაშენებლის N124) მოდულური |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში). | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 51 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 66 |

პროგრამის „საფინანსო სერვისები“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | **სრული 3** | | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free


**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.**

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით**, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თეორიული კომპონენტების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების მფლობელობაში არსებული, თეორიული სწავლებისთვის საჭირო რესურსით აღჭურვილ აუდიტორიებში, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულება გეგმავს 40 პროფესიული სტუდენტის სწავლებას აღნიშნულ პროგრამაზე, ორი მიღებით, თითოეული მიღებისას ჯგუფში პროფესიული სტუდენტების მაქსმალური ოდენობა იქნება 20 პროფესიული სტუდენტი. მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების დროს დაწესებულებას უკვე ყავდა 20 პროფესიული სტუდენტი აღნიშნულ პროგრამაზე, სადაც სასწავლო პროცესები ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა დისტანციური ფორმატით.

   მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მეშვეობით, მიიღო დაწესებულების მხრიდან გამოგზავნილი დოკუმენტაცია, განიხილა და ცენტრის მეშვეობით დამატებით გამოითხოვა საქმისწარმოებისთვის აუცილებელი დოკუმენტაცია, მათ შორის პროგრამის ფარგლებში პრქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები პარტნიორებთან, რომელთა მატერიალური რესურსები/აღჭურვილობა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული მოდულების „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“ (შპს „მონტე“, შპს „სმაილი“ და შპს „ქება 2010“) და „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები“( სს „ფინკა ბანკ საქართველოსთან.“) სწავლის შედეგების მიღწევას, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (40 პროფესიული სტუდენტი, ორი მიღების შემთხვევაში (თითოეული მიღებისას ჯგუფი დაკომპლექტდება 20 პროფესიული სტუდენტით)) გათვალისწინებით. *<u>წარმოდგენილ ხელშეკრულებებში არ იყო მოხსენიებული მოდული „გაცნობითი პრაქტიკა“, დაწესეულებას</u>*



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

*მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული მოდულთან მიმართებითაც მოხდეს ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება პრაქტიკის ობიექტ(ებ)თან, მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა“ უზრუნველსაყოფად.*

*ასევე დაწესებულებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისათვის „საფინანსო საქმე“ ხელშეკრულება აქვს გაფორმებული „სს ფინკა ბანკ საქართველოსთან“ მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“ განხორციელების მიზნით, ხელშეკრულების მოქმედების ვადა არის ერთი წელი (ხელშეკრულება გაფორმებულია 2020 წლის 23 ივნის ერთი წლის ვადით) დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროგრამის მდგრადობის მიზნით გახანგრძლივდეს ხელშეკრულეის მოქმედების ვადა.*

რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ რესურსებს / აღჭურვილობას, რომელიც პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა დანარჩენი მოდულების პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის გამოიყენება, დისტანციურად განხორციელებლი ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებს მიეცა საშუალება ენახათ დაწესებულების მიერ შეძენლი მატერიალური რესურსი, რომელიც სწავლის შედეგების პრაქტიკული კომპონენტის ადგილზე განხორციელებას უზრუნველყოფს. კერძოდ: ზუმის პლატფორმის საშუალებით განხორციელებული ვიდეო ზარის გამოყენებით მოხდა დათვალიერება დაწესებულების ბაზაზე არსებული პრაქტიკული კომპონენტისათვის საჭირო აღჭურვილობა, დათვალიერებისას დადასტურდა, რომ კომპიუტერებში ჩატვირთულია პროგრამა ალტას დემო ვერსია. შპს „ალტა სოფთვეართან“ გაფორმებულია მემორანდუმი, მემორანდუმის მიხედვით - შეთანხმება მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებას, მათი პიროვნული პოტენციალის რეალიზაციას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი განათლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე კადრების მომზადებას. საინფორმაციო-ტექნოლოგიების საფინანსო-საბანკო საქმიანობისთვის გამოყენების პოპულარიზაციას, საფინანსო სერვისების პროფესიული სპეციალობის პრაქტიკული და სასწავლო



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free
კომპონენტების ეფექტური განხორციელების მხარდაჭერას. ასევე ადგილზე იყო პროფესიული უნარჩვევების ასათავისებლად საჭირო ყველა აუცილებელი ინვენტარი და თვალსაჩინოებები.მათ შორის: ფულის ულტრაიისფერი დეტექტორი, ფულის სათვლელი მანქანა, საინკასაციო ჩანთის მულაჟი, ფასეულობებისთვის ქისის მულაჟი, შტამპები (ტვიფრებით: ნომრით, „განაღდებულია“, „არ ექვემდებარება დაბრუნებას“, „ასლი დედანთან სწორია“), თემატური თვალსაჩინოებები , როგორებიცაა: შემოსავლის ორდერი; გასავლის ორდერი; საინკასაციო ნუსხის ფორმა; ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა), ასევე გამომთვლელი, ლუპა.

**აღსანიშნავია რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგომში ცენტრი) დირექტორის 2020 წლის 18 ნოემბრის N103756 ბრძანების საფუძველზე, განხორცილებული მონიტორინგის პერიოდში, ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დადგენილი იქნა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნება 40 პროფესიული სტუდენტისთვის (ორი მიღებით განხორცილეების შემთხვევაში), როგორც მატერიალური რესურსით, ასევე პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, თუმცა მიმდინარე სასწავლო წლისათვის დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიული სტუდენტი მოცემულ პროგრამაზე, ერთი ჯგუფი.**

2. ***<u>საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას</u>***. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ ზოგადი, საერთო პროფესიული და პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული 10 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი კვოტის 40 პროფესიულ სტუდენტისთვის დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი რაოდენობის პროფესიული განათლების მასწავლებელი, ამასთან მათი მოდულების განხორციელების კომპეტენციისა და დარგებში



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

გამოცდილების მიხედვით ექსპერტთა შეფასებით პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა 40 პროფესიული სტუდენტის (ორი მიღებით, ტითოეული მიღებისას ჯგუფი დაკომპლექტდება 20 პროფესიული სტუდენტით), შემთხვევაში უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; მიმდინარე სასწავლო წლისათვის დაწესებულებას ჰყავს ერთი ჯგუფი 20 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული. მონიტორინგის განხორციელების დროს სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა დიტანციურ რეჟიმში.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ **პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია,** დისტანციურ ვიზიტამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, კვირეული საათობრივი დატვირთვა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე მათგანთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას დადასტურდა, რომ გააჩნდათ შესაბამისი მოდულების განხორციელების კომპეტენცია, გააზრებული ჰქონდათ მოდულის განხორციელების მიდგომები, იცნობდნენ სწავლების მეთოდებს და შეფასების წესებს. ექსპერტთა მიერ გასაუბრება მათთან ჩატარდა დისტანციურად (ZOOM პლატფორმის საშუალებით).

4. ***<u>პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად კოლეჯს დანიშნული ჰყავს პროფესიული განათლების მასწავლებელი,</u>*** რომელიც არის დარგის სპეციალისტი და აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება, პროგრამის ხელმძღვანელთან დაწესებულებას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება, სადაც დეტალურადაა გაწერილი დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები, ასევე ანაზღაურების წესი და პირობები. ვიზიტის ფარგლებში, რომელიც განხორციელდა დისტანციურად, ვერ მოხერხდა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება, მისი ჯამრთელობის მდგომარეობის გამო, ექსპერტებს მხოლოდ პირადი საქმის გაცნობის საშიუალება მიეცათ, რომელიც საქმისწარმოებისათვის იყო დაწესებულების მხრიდან გამოგზავნილი და რომლითაც დასტურდება მისი კომპეტენცია როგორც დარგის სპეციალისტის.



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია** ელექტრონული სახით დაწესებულების ვებ-გვერდზე (http://gu.edu.ge/ge/library), ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონული და მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში, სადაც ხორციელდება პროფესიული პროგრამები, მოწყობილია სამკითხველო დარბაზები და წიგნსაცავები. სამკითხველო დარბაზებში განთავსებულია კომპიუტერები და უზრუნველყოფილია ინტერნეტის მიწოდება. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. წიგნები გატარებულია საინვენტარო წიგნში დადგენილი წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკის დათვალიერება მოხდა ZOOM-ის პლატფორმის საშუალებით, დაწესებულების წარმომადგენლების ჩართულობით. დისტანციურად ვიზიტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ელექტრონულ პორტალზე დაშვება გაეკეთებინათ ექსპერტებისათვის და შემოწმდა ელ.რესურსები, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვისაც.

6. **დაწესებულებას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო,** კერძოდ პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილები, დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა. საჭიროებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, **მტკიცდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა,** რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ **ფინანსურად მდგრადია,** რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საფინანსო სერვისები - პროგრამით;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ვებ-გვერდით;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრების შედეგებით;
- დაწესებულების მიერ გამოგზავნილი შესყიდვის დოკუმენტები;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- ვიზუალური დათვალიერება (დისტანციურად - ZOOM-ის პლატფორმის საშუალებით)

შეფასება:

☒ შეესაბამება



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free


| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | სსიპ - გორის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება No 6-19; 21/05/2020 (ცვლილება ა/ს დადგენილება N 6- 43, 21/07/2020 (დანართი 3) |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | მის: ქ.გორი აღმაშენებლის N124 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 (ქ.გორი აღმაშენებლის N124, მოდულური) |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში). | — |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | — |



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | ___ |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 კრედიტი |

## VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **შეესაბამება** | **მეტწილად შეესაბამება** | **ნაწილობრივ შეესაბამება** | **არ შეესაბამება** |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | **სრული 3** | | | |



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free


**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.**

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა იგეგმება საგანამანათლებლო დაწესებულების ბაზაზე არსებულ A, B და C სასწავლო გარემოში, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულება გეგმავს 30 პროფესიული სტუდენტის სწავლებას აღნიშნულ პროგრამაზე, ორი მიღებით, თითოეული მიღებისას ჯგუფში პროფესიული სტუდენტების მაქსმალური ოდენობა იქნება 15 პროფესიული სტუდენტი. მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების დროს დაწესებულებას უკვე ყავდა 15 პროფესიული სტუდენტი აღნიშნულ პროგრამაზე, სადაც სასწავლო პროცესები ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა დისტანციური ფორმატით. პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ რესურსებს / აღჭურვილობას, რომელიც პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის გამოიყენება, უზრუნველყოფილია ადგილზე დაწესებლების მიერ. დისტანციურად განხორციელებლი ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებს მიეცა საშუალება ენახათ დაწესებულების მიერ შეძენლი მატერიალური რესურსი, რომელიც სწავლის შედეგების პრაქტიკული კომპონენტის ადგილზე განხორციელებას უზრუნველყოფს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის (მიღება ჩაბარების აქტები #76,131, 52, 57,112,84) მიხედვით დასტურდება, რომ დაწესებულებას შეძენილი აქვს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი.

   აღსანიშანავია რომ, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება პარტნიორებთან, რომელთა მატერიალური რესურსები / აღჭურვილობა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული მოდულების „გაცნობითი პრაქტიკა“ და „პრაქტიკული პროექტი“ (საზოგადოება „ბილიკი“ და შპს „მასტერ პლიუსი“) სწავლის შედეგების მიღწევას, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (30 პროფესიული სტუდენტი, ორი მიღების 15/15 შემთხვევაში) გათვალისწინებით.



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

აღსანიშნავია რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგომში ცენტრი) დირექტორის 2020 წლის 18 ნოემბრის N103756 ბრძანების საფუძველზე, განხორცილებული მონიტორინგის პერიოდში, ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დადგენილი იქნა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნება 30 პროფესიული სტუდენტისთვის (ორიმრებით განხორცილეების შემთხვევაში), როგორც მატერიალური რესურსით, ასევე პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, თუმცა მიმდინარე სასწავლო წლისათვის დაწესებულებას ჰყავს 15 პროფესიული სტუდენტი მოცემულ პროგრამაზე, ერთი ჯგუფი.

2. *<u>საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას</u>*. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ზოგადი, საერთო პროფესიული და პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული 9 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი კვოტის 30 პროფესიულ სტუდენტისთვის დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი რაოდენობის პროფესიული განათლების მასწავლებელი, ამასთან მათი მოდულების განხორციელების კომპეტენციისა და დარგებში გამოცდილების მიხედვით ექსპერტთა შეფასებით პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა 30 პროფესიული სტუდენტის (ორი მიღებით, ტითოეული მიღებისას ჯგუფი დაკომპლექტდება 15 პროფესიული სტუდენტით), შემთხვევაში უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; მიმდინარე სასწავლო წლისათვის დაწესებულებას ჰყავს ერთი ჯგუფი 15 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული. მონიტორინგის განხორციელების დროს სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა დიტანციურ რეჟიმში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ **პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია,** დისტანციურ ვიზიტამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, კვირეული საათობრივი დატვირთვა და ჩატარდა რამდენიმე მათგანთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას დადასტურდა, რომ გააჩნდათ შესაბამისი მოდულების განხორციელების კომპეტენცია, გააზრებული ჰქონდათ მოდულის განხორციელების მიდგომები, იცნობდნენ სწავლების მეთოდებს და შეფასების წესებს. ექსპერტთა მიერ გასაუბრება მათთან ჩატარდა დისტანციურად (ZOOM პლატფორმის საშუალებით).
4. ***<u>პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად კოლეჯს დანიშნული ჰყავს პროფესიული განათლების მასწავლებელი,</u>*** რომლებიც არიან დარგის სპეციალისტები და აქვთ დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, მათ აქვთ შესაძლებლობა სრულფასოვნად უხელმძღვანელონ პროგრამის განხორციელების პროცესს. პროგრამის ხელმძღვანელებთან დაწესებულებას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება, სადაც დეტალურადაა გაწერილი დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები, ასევე ანაზღაურების წესი და პირობები. პროგრამის ხელმღვანელთან გასაუბრებით გამოიკვეთა მზაობა უხელმძღვანელოს პროგრამას და მიიღოს მონაწილეობა მის განვითარებაში.
5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია** ელექტრონული სახით დაწესებულების ვებ-გვერდზე (http://gu.edu.ge/ge/library), ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონული და მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში, სადაც ხორციელდება პროფესიული პროგრამები, მოწყობილია სამკითხველო დარბაზები და წიგნსაცავები. სამკითხველო დარბაზებში განთავსებულია კომპიუტერები და უზრუნველყოფილია ინტერნეტის მიწოდება. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. წიგნები გატარებულია საინვენტარო წიგნში დადგენილი წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკის დათვალიერება



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

მოხდა ZOOM-ის პლატფორმის საშუალებით, დაწესებულების წარმომადგენლების ჩართულობით. დისტანციურად ვიზიტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ელექტრონულ პორტალზე დაშვება გაეკეთებინათ ექსპერტებისათვის და შემოწმდა ელ.რესურსები, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვისაც.

6. **დაწესებულებას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო,** კერძოდ პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილები, დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა. საჭიროებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, **მტკიცდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა,** რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ **ფინანსურად მდგრადია,** რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კომპიუტერული ქსელი და სისტემები - პროგრამით;



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ვებ-გვერდით;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრების შედეგებით;
- დაწესებულების მიერ გამოგზავნილი შესყიდვის დოკუმენტები;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- ვიზუალური დათვალიერება (დისტანციურად - ZOOM-ის პლატფორმის საშუალებით)

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

ა) მონიტორინგის განრიგი;

ბ) დამატებით საჭირო დოკუმენტაცია დაწესებულებისგან მონიტორინგისთვის (სამივე პროგრამასთან მიმართებით);

14/12/2020



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: